# ხელშეკრულება
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 34

ქ. თბილისი 01.10.2013წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გრიგოლ კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "დეგაპრინტი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორი ლაშა სოხაძე, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან 400ც. სავიზიტო ბარათის დამზადება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საერთო ღირებულებით 120 (ასოცი) ლარის ფარგლებში.

## 2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

2.1 მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისამებრ 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1 მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 უნაღდო ანგარშსწორების დროს გადახდის თარიღად მიიჩნევა "გამყიდველის" საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.

3.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

3.5 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესყიდვების კოორდინატორი მთავარი სპეციალისტი პაატა კიკვაძე.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა

4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

5.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

საქ. ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს სსიპ
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
მის: ქ. თბილისი, ჭანტურიას 12
ს\კ 202466991

სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

მიმწოდებელი:

შპს "დეგაპრინტი"

მის: ქ. თბილისი
ვირსალაძის ქ. №8
ს\კ 204444477
ს.ს. "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა\ა №GE41TB0600000101467543

დირექტორი

ლაშა სოხაძე